

ინფორმაციული ტექნოლოგი 040153

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ინფორმაციული ტექნოლოგი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 35 პროფესიული კრედიტი;

სულ 875 საათი (1 კრედიტი-25 სთ);

აქედან: საკონტაქტო საათი -766 საათი

დამოუკიდებელი -109 საათი.

მ.შ. სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა -21 კრ (525 სთ);

V. პროგრამის ხანგრძლივობა – 23 კვირა (-6 თვე)

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რაც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით, კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; დრაივერების ინსტალაცია და განახლება; ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; მონაცემთა აღდგენა; აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვალიფიციური აღმოფხვრა; მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა.

ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს კომპიუტერულ სერვისცენტრებში პრობლემების დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად, მცირე და საშუალო ტიპის

ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ ან დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ადმინისტრატორის თანაშემწედ.

VIII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა; - კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგაკაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები; - აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები; - სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება; - პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები; - ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; - ოპერაციული სისტემის აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა; - ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა; - ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა; - სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა; - კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა; - ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები; დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა; - ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები; - კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება; - აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; - პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით; - გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება; - პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა; - დრაივერების ინსტალაცია და განახლება; - ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; - სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; - მონაცემთა აღდგენა; - აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის

	<p>დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვლიფიციური აღმოფხვრა;</p> <ul style="list-style-type: none"> - მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა. - ქსელური მოწყობილობებისა და კაბელისტიპების არჩევა; - ქსელის ინსტალაცია და ტესტირება; - ქსელური რესურსების კონფიგურაცია.
დასკვნის უნარი	<p>ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილ პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიციურებული აღმოფხვრა.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტისგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p> <p>ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან.</p> <p>შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p> <p>აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</p> <p>ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>
ღირებულებები	<p>გაცნობიერებული აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები.</p> <p>კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. ასევე იცავს უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო	კომპეტენციების ჩამონათვალი
----------	----------------------------

	ცოდნა დაგაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	X	X			X	
სასწავლო პრაქტიკა-კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა		X	X			X
ოპერაციული სისტემების საფუძვლები	X	X			X	
სასწავლო პრაქტიკა-ოპერაციული სისტემების საფუძვლები		X	X			
კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	X	X			X	
სასწავლო პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელების საფუძვლები		X	X	X		
საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	X	X			X	
სასწავლო პრაქტიკა-საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა		X			X	
უცხო ენა (ინგლისური)				X		
საქმიანი ურთიერთობის კულტურა	X					X
საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა

	კრედიტები	საათების განაწილება		საათის
		საკონტაქტო საათები	დ	

№	საგნები		ლექცია /პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1	კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	2	30				5	15	50
2	<u>სასწავლო პრაქტიკა</u> -კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	2			44		6	-	50
3	ოპერაციული სისტემების საფუძვლები	2	30				5	15	50
4	<u>სასწავლო პრაქტიკა</u> -ოპერაციული სისტემების საფუძვლები	6			144		6	-	150
5	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	3	45				5	25	75
6	<u>სასწავლო პრაქტიკა</u> -კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	3			69		6	-	75
7	საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	3	45				6	24	75
8	<u>სასწავლო პრაქტიკა</u> -საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	5			119		6	-	125
9	უცხო ენა (ინგლისური)	3	45				6	24	75
10	საქმიანი ურთიერთობის კულტურა	1	15				4	6	25
11	საწარმოო პრაქტიკა	5				119	6	-	125
	სულ	35	210		376	119	61	109	875

XI. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

იხ. დანართი 1.

XII. სწავლების მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდებია:

- ლექცია
- დემონსტრირება

- პრაქტიკული მეცადინეობა
- ჯგუფში მუშაობა

ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრებული სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

XIII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მასიმალური შეფასების 81-90 %
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ამ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
---------------------	---------------	--------------

კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
სასწავლო პრაქტიკა-კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
ოპერაციული სისტემების საფუძვლები	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
სასწავლო პრაქტიკა-ოპერაციული სისტემების საფუძვლები	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
სასწავლო პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
სასწავლო პრაქტიკა-საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი
უცხო ენა (ინგლისური)	ნათია ქათამაძე	ინგლისური ენის მასწ. ტრენერი
საქმიანი ურთიერთობის კულტურა	სტამბოლიშვილი ნაირა	აღმზრდელი მეთოდის მეთოდის კვალიფიკაცია
საწარმოო პრაქტიკა	ტაკიძე ვახტანგ	კომპ. ტექნ. მაგისტრი

X V. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის გამოიყენება შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტი, ინვენტარი. პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკით.

სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გავლა. იგი ითვალისწინებს შექმნილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში. სასწავლო პრაქტიკებისათვის გამოყენებული იქნება ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კაბინეტი, ხოლო საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე:

1. შპს „ივიჯი“
2. „კომპიუტერული ტექნიკა“

XVI. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

ვახტანგ ტაკიძე - კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგისტრი
საკონტაქტო ტელ: 595462441
ელ ფოსტა: VAXO_TAKIDZE@MAIL.RU

